ოქმი N 6

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

19 აპრილი 2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გოჩა ქაჯაია
3. გიორგი გვასალია
4. გივი ლატარია
5. აკაკი ხურცილავა
6. მზია ლემონჯარია
7. მაკა ჩარტია
8. ზურაბი შამათავა
9. ია ჯიმშკარიანი
10. ლელა ადანაია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 24 მარტის COV 52200008656 წერილის განხილვა - „ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 29 მარტის COV 92200009163 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტზე საკონსულტაციო დასკვნის გაცნობა

(მომხსენებელი: მ.თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ლ. შამათავას 2022 წლის 12 აპრილის N 51-51221021 მოხსენებითი ბარათის განხილვა (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის დამატების შესახებ)

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების გენდერულ საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ნ. ურიდიას 2022 წლის 13 აპრილის N 51-51221034 მოხსენებითი ბარათის განხილვა (გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის რაოდენობის გაზრდის თაობაზე)

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 24 მარტის COV 52200008656 წერილის განხილვა - „ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის წერილი და განაცხადა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილების მიმართ განხორციელდა სამართლებრივი ექსპერტიზა და იურიდიული დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე დადგენილების პრეამბულას დაემატა „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვალდებულებას, დაადგინოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით. რეკომენდაციის საფუძველზე კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის ინიცირების წესით საკრებულოს თავმჯდომარისთვის წარდგენის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: **10** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს ინიცირების წესით.

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 29 მარტის COV 92200009163 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტზე საკონსულტაციო დასკვნის გაცნობა

(მომხსენებელი: მ.თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მ. იოსავას მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესახებ" სამართლებრივი კონსულტაციისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს, საიდანაც მიღებულ იქნა რეკომენდაცია, რომ დადგენილების პროექტის წარმოდგენილი სახით მიღება არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დამატებით წესებს. საკრებულოს მიერ დამატებითი რეგულაციების შემუშავებამდე, საკრებულომ სახელდების

საკითხებთან დაკავშირებით უნდა იხელმძღვანელოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის განუხილველად დატოვების თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: **10** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" დარჩეს განხილვის გარეშე და აღნიშნულზე ეცნობოს ინიციატორს.

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ლ. შამათავას 2022 წლის 12 აპრილის N 51-51221021 მოხსენებითი ბარათის განხილვა (არქივის სპეციალისტის დამატების შესახებ)

(მომხსენებელი: მ.თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს აპარატის უფროსის ლ. შამათავას მოხსენებითი ბარათი და განაცხადა, რომ აპარატის უფროსის განმარტებით, საკრებულოს აპარატში არ არის გათვალისწინებული არქივის სპეციალისტის პოზიცია. ამ ეტაპზე საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში უზრუნველყოფს საარქივო საქმიანობას. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დაწესებულება ვალდებულია დოკუმენტაციის, ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოსთვის გადაცემამდე, უზრუნველყოს საქმიანობის პროცესში შექმნილი ყველა დოკუმენტის დაცვა, შენახვა, დამუშავება, აღრიცხვა და მოწესრიგებულ მდგომარეობაში გადაცემა მუდმივ შესანახად. საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" თანახმად, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია საჯარო სამსახურში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაასაქმოს მოხელე დამხმარე ამოცანების შესასრულებლად. ხოლო დამხმარე ამოცანებია ისეთი ამოცანები, რომლებიც არ წარმოადგენენ საჯარო დაწესებულების ძირითად ფუნქციებს, რადგან ძირითადი ფუნქციები ხორციელდება პროფესიული საჯარო მოხელეების მიერ, ხოლო პროფესიული მოხელის საქმიანობის მხარდამჭერი უფლებამოსილების მქონე საჯარო მოსამსახურეები შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ დამხმარე ფუნქციებს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი შემოდის წინადადებით შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე საკრებულოს აპარატში აყვანილ იქნეს სპეციალისტი, რომელიც საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების საქმისწარმოების საკითხებში პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტთან ერთად უზრუნველყოფს საკრებულოში დაცული დოკუმენტაციის არქივისთვის მომზადებას.

საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს", ხოლო საქართველოს კანონის „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება საკრებულოს თანხმობით. გამომდინარე, იქედან, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია 11 საშტატო ერთეული, აუცილებელია საკრებულოს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოხელის დასაქმების მიზნით. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო დაწესებულებისთვის დაწესებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრები ლ. ადანაია ი. ჯიშკარიანი და ზ. შამათავა არ დაეთანხმნენ წარმოდგენილ წინადადებას

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: **7**; წინააღმდეგი: **3**

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო დაწესებულებისთვის დაწესებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების გენდერულ საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ნ. ურიდიას 2022 წლის 13 აპრილის N 51-51221034 მოხსენებითი

ბარათის განხილვა (გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის რაოდენობის გაზრდის თაობაზე)

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების გენდერულ საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ნ. ურიდიას მოხსენებითი ბარათი და განმარტა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა დებულების თანახმად განსაზღვრულია 7 წევრით. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის გაფართოების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს საბჭოს შემადგენლობა და დებულებაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არაუმეტეს 21 წევრის შემადგენლობით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის ინიცირების წესით საკრებულოს თავმჯდომარისთვის წარდგენის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: **10**; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს ინიცირების წესით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მ.თათარიშვილი მედეა თათარიშვილი